



ქვეპროექტი - გორის 10 სათამაშო მოედნის რეაბილიტაცია
(გორის მუნიციპალიტეტი)

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და
გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკი
რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების
მეორე პროექტი

თბილისი, საქართველო

ნოემბერი, 2016

გარემოსდაცვითი სკრინინგი

ქვე-პროექტი მოიცავს სათამაშო მოედნების (ათი ერთეული) რეაბილიტაციას ქალაქ გორში, შიდა ქართლში. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ზღვის დონიდან 588 მეტრზე. პროექტის ადგილზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალიდან. მანძილი თბილისიდან არის 76 კმ. სარეაბილიტაციო სამუშაოების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

1. ელიოზიშვილის ქუჩაზე მდებარე სათამაშო მოედანი

ქვე პროექტი მოიცავს სარეაბილიტაციო სამუშაოებს ელიოზიშვილის ქუჩაზე მდებარე სათამაშო მოედნისათვის, ისევე როგორც იქვე განთავსებული ადმინისტრაციული შენობისათვის.

აღნიშნული სათამაშო მოედანი ამჟამად ფუნქციონირებს და მოიცავს ერთ სართულიან აგურის შენობას, ასევე - ფეხბურთის, კალათბურთისა ფრენბურთის მოედნებს, რომლებზეც განთავსებულია ასფალტის საფარი. სპორტული მოედანი შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. სპორტული მოედნის განათება დაერთებულია ქალაქის განათების ქსელზე. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 1) და ფართობი შეადგენს 3185 მ².

ადმინისტრაციული შენობა წარმოდგენილია სამი ოთახის და ოთხი სველი წერტილისგან, რომელიც დაერთებულია ქალაქის ქსელზე. შენობა კონსტრუქციულად მდგრადია. სახურავი ნაწილობრივ დაზიანებულია, ოთახებში დაზიანებულია ნაღესი, მთლიანად ჩამოშლილია შეკიდული ჭერი და დათბუნება, დაზიანებულია იატაკი. სველ წერტილებში დამტვრეულია ხელსაბანის და უნიტაზის ნიჟარები, დამტვრეულია მეტლახი და კაფელი, დაზიანებულია კარ-ფანჯრები.

გარდა ზემოხსენებულისა, დეფორმირებულია ასფალტო-ბეტონის საფარი, შეინიშნება ბზარები, დაზიანებულია ფეხბურთის კარები, ფრენბურთის ბადეები და კალათბურთის ფარები, აგრეთვე დაზიანებულია ელექტრო მომარაგება.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციას, მათ შორის: სახურავის ნაწილობრივ რეაბილიტაცია, შეკიდული ჭერის შეკეთება, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების დამონტაჟება;
- აბაზანების და ტუალეტების მოწყობა;
- შიდა განათების ქსელის მოწყობა;
- არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება;
- ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნების საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე;

- კალათბურთის მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევით;
- გარე განათების მოწყობა;
- არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი;
- სათამაშო მოედნების შემოღობვა;

2. გორკის ქუჩაზე მდებარე სათამაშო მოედანი

გორკის ქუჩაზე მდებარე სათამაშო მოედანი ამჟამად ფუნქციონირებს და მოიცავს ერთ სართულიან აგურის შენობას, ასევე - ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნებს, რომლებზეც განთავსებულია ასფალტის საფარი. სპორტული მოედანი შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. სპორტული მოედნის განათება დაერთებულია ქალაქის განათების ქსელზე. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 2) და მისი ფართობი შეადგენს 1310 მ². ქვე-პროექტი ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელებას, როგორც ადმინისტრაციული შენობისათვის, ასევე - სათამაშო მოედნისათვის.

ადმინისტრაციული შენობა წარმოდგენილია სამი ოთახის და ოთხი სველი წერტილისგან, რომელიც დაერთებულია მუნიციპალურ ქსელზე. მიუხედავად იმისა, რომ შენობა კონსტრუქციულად მდგრადია, სახურავი, რომელიც თუნუქის მასალისგან არის დამზადებული, ნაწილობრივ დაზიანებულია, ოთახებში დაზიანებულია ნაღესი, მთლიანად ჩამოშლილია შეკიდული ჭერი და დათბუნება, დაზიანებულია იატაკი და კარ-ფანჯრები.

გარდა ზემოხსენებულისა, დეფორმირებულია ასფალტო-ბეტონის საფარი, შეინიშნება ბზარები, დაზიანებულია ფეხბურთის კარები და კალათბურთის ფარები, აგრეთვე დაზიანებულია ელექტრო მომარაგება და არ ფუნქციონირებს გარე განათება.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციას, მათ შორის: სახურავის ნაწილობრივ რეაბილიტაცია, შეკიდული ჭერის შეკეთება, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების დამონტაჟება;
- აბაზანების და ტუალეტების მოწყობა;
- შენობის შიგნით მდებარე საკანალიზაციო ხაზის შეცვლა შენობის ეზოში მდებარე ჭამდე მანძილზე (6 მეტრი);
- შიდა განათების ქსელის მოწყობა;
- არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება;
- ფეხბურთის მოედნის საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე;
- კალათბურთის მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევით;

- გარე განათების მოწყობა;
- არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი;
- სათამაშო მოედნების შემოღობვა;

3. ყიფიანის 56-ში მდებარე სათამაშო მოედანი

ქვე-პროექტი ითვალისწინებს ყიფიანის 56-ში მდებარე სათამაშო მოედნის რეაბილიტაციას, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს, თუმცა ასფალტის საფარი და კალათბურთის საფარი დაზიანებულია. სპორტული მოედანი შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. სათამაშო მოედანს არც ელექტრო მომარაგება აქვს და არც გარე განათება. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 1) და მისი ფართობი შეადგენს 465 მ². ქვე-პროექტი ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელებას, როგორც ადმინისტრაციული შენობისათვის, ასევე - სათამაშო მოედნისათვის.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება;
- კალათბურთის მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევით;
- გარე განათების მოწყობა;
- არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი;
- სათამაშო მოედნების შემოღობვა.

4. ბესიკის ქუჩაზე მდებარე სათამაშო მოედანი

ბესიკის ქუჩაზე მდებარე სათამაშო მოედანი ამჟამად ფუნქციონირებს და აერთიანებს ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებს. აქედან პირველ ორს აქვს ასფალტის საფარი, ხოლო მესამეს, ფრენბურთის მოედანს - მხოლოდ გრუნტის საფარი. სპორტული მოედანი შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. სპორტული მოედნის განათება დაერთებულია მუნიციპალურ ქსელზე. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 2) და მისი ფართობი შეადგენს 2713 მ². ქვე-პროექტი ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელებას, როგორც ადმინისტრაციული შენობისათვის, ასევე - სათამაშო მოედნისათვის.

დეფორმირებულია ასფალტო-ბეტონის საფარი, დაზიანებულია ფეხბურთის კარები, ფრენბურთის ბადეები და კალათბურთის ფარები, აგრეთვე დაზიანებულია ელექტრო მომარაგება და არ ფუნქციონირებს გარე განათება. ასევე დაზიანებულია სტადიონის ტრიბუნები.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება;
- ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნების საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე;
- კალათბურთის მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევით;
- გარე განათების მოწყობა;
- არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი;
- სათამაშო მოედნების შემოღობვა.

5. სუბიშვილის ქუჩაზე მდებარე სათამაშო მოედანი (იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლება)

ქვე-პროექტი ითვალისწინებს სუბიშვილის ქუჩაზე მდებარე (იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლება) სათამაშო მოედნის რეაბილიტაციას, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს, თუმცა ასფალტის საფარი მნიშვნელოვნად დაზიანებულია, არ არის ფეხბურთის კარები, არ არის ტერიტორია შემოღობილი და ასევე არ არის გარე განათება. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 1) და მისი ფართობი შეადგენს 571 მ².

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- მოედნის საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე;
- გარე განათების მოწყობა;
- არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი;
- სათამაშო მოედნების შემოღობვა.

6. უფლისციხის 42-ში მდებარე სათამაშო მოედანი

ქვე-პროექტი ითვალისწინებს უფლისციხის 42-ის მიმდებარედ არსებული სათამაშო მოედნის რეაბილიტაციას. სტადიონი ამჟამად ფუნქციონირებს, თუმცა ასფალტის საფარი და კალათბურთის ფარები მნიშვნელოვნად დაზიანებულია. სპორტული მოედანი შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. სპორტული მოედნის განათება დაერთებულია მუნიციპალურ ქსელზე. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 1) და მისი ფართობი შეადგენს 836 მ².

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება;

- არსებული ხელოვნური ბალახის საფარის მოხსნა ფეხბურთის მოედნიდან და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება;
- კალათბურთის მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევით;
- ფეხბურთის მოედნის საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე;
- გარე განათების მოწყობა;
- არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი;
- სათამაშო მოედნების შემოღობვა.

7. შინდისის გზატკეცილის 3-ში მიმდებარე სათამაშო მოედანი

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შინდისის გზატკეცილის N3-ის მიმდებარედ არსებული სათამაშო მოედნის რეაბილიტაციას. სტადიონი ამჟამად ფუნქციონირებს, თუმცა ასფალტის საფარი და ფეხბურთის კარები დაზიანებულია. ტერიტორია შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. სპორტული მოედნის განათება დაერთებულია მუნიციპალურ ქსელზე. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 1) და მისი ფართობი შეადგენს 1218 მ².

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება;
- მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევით;
- ფეხბურთის მოედნის საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე;
- გარე განათების მოწყობა არსებული ელ. მომარაგების ბოძიდან (სიგრძე - 8 მ.);
- არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი;
- სათამაშო მოედნების შემოღობვა.

8. სუხიშვილის 57-ის მიმდებარედ არსებული სათამაშო მოედანი

ქვე-პროექტი ითვალისწინებს სუხიშვილის 57-ის მიმდებარედ არსებული სათამაშო მოედნის რეაბილიტაციას. სტადიონი ამჟამად ფუნქციონირებს, თუმცა ასფალტის საფარი და ფეხბურთის კარები დაზიანებულია. ტერიტორია შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 1) და მისი ფართობი შეადგენს 767 მ².

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება;

- მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტ-ბეტონის ცხელი ნარევით;
- ფეხბურთის მოედნის საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე;
- გარე განათების მოწყობა;
- არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი;
- სათამაშო მოედნების შემოღობვა.

9. სუხიშვილის N9-ის მიმდებარედ არსებული სათამაშო მოედანი

ქვე პროექტი მოიცავს სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას სუხიშვილის N9-ის მიმდებარედ არსებული სათამაშო მოედანზე.

აღნიშნული სათამაშო მოედანი ამჟამად ფუნქციონირებს და მოიცავს ერთ სართულიან აგურის ადმინისტრაციულ შენობას, ასევე - ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნებს, რომლებზეც განთავსებულია ასფალტის საფარი. სპორტული მოედანი შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. სპორტული მოედნის განათება დაერთებულია მუნიციპალური განათების ქსელზე. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 1) და ფართობი შეადგენს 1966 მ².

ადმინისტრაციული შენობა წარმოდგენილია სამი ოთახის და ოთხი სველი წერტილისგან, რომელიც დაერთებულია ქალაქის ქსელზე. შენობა კონსტრუქციულად მდგრადია, თუმცა მისი თუნუქის სახურავი მთლიანად დაზიანებულია. გარდა ამისა, ოთახებში დაზიანებულია ნაღესი, მთლიანად ჩამოშლილია შეკიდული ჭერი და დათბუნება, დაზიანებულია იატაკი და კარ-ფანჯრები.

გარდა ზემოხსენებულისა, დეფორმირებულია სათამაშო მოედნების ასფალტ-ბეტონის საფარი, შეინიშნება ბზარები, არ არის ფეხბურთის კარები, ფრენბურთის ბადეები და კალათბურთის ფარები, აგრეთვე დაზიანებულია ელექტრო მომარაგება და არ ფუნქციონირებს გარე განათება.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციას, მათ შორის: სახურავის ნაწილობრივ რეაბილიტაცია, შეკიდული ჭერის შეკეთება, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების დამონტაჟება;
- აბაზანების და ტუალეტების მოწყობა;
- შენობის შიგნით მდებარე საკანალიზაციო ხაზის შეცვლა შენობის ეზოში მდებარე ჭამდე მანძილზე (6 მეტრი);
- შიდა განათების ქსელის მოწყობა;
- არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება;

- ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნების საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე;
- კალათბურთის მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევით;
- გარე განათების მოწყობა;
- არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი;
- სათამაშო მოედნების შემოღობვა;

10. შინდისის გზატკეცილის N32-ის მიმდებარედ არსებული სათამაშო მოედანი

ქვე პროექტი მოიცავს სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას შინდისის გზატკეცილის N32-ის მიმდებარედ არსებულ სათამაშო მოედანზე. სტადიონი ამჟამად ფუნქციონირებს, თუმცა ასფალტის საფარი და ფეხბურთის კარები დაზიანებულია. ტერიტორია შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. სათამაშო მოედანს არც ელექტრო მომარაგება აქვს და არც გარე განათება. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 1) და მისი ფართობი შეადგენს 1041 მ².

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება;
- მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევით;
- ფეხბურთის მოედნის საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე;
- გარე განათების მოწყობა;
- არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი;
- სათამაშო მოედნების შემოღობვა.

(A) ზემოქმედების იდენტიფიცირება

ექნება თუ არა ქვე-პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტს ექნება მცირე მოკლევადიანი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე. გარემოზე ზემოქმედებას ძირითადად ადგილი ექნება მშენებლობის ეტაპზე, რაც მოიცავს არსებული ასფალტის ფენის მოხსნას, ასფალტო-ბეტონის დაგებას, ადმინისტრაციული შენობების რეკონსტრუქციას.
რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	ბუნებრივ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა არის მოკლევადიანი და დამახასიათებელი ურბანულ გარემოში მცირე/საშუალო სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და ემისიები მძიმე ტექნიკის მოძრაობისა და ექსპლუატაციის შედეგად, სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. შემდგომი ზეგავლენები დაკავშირებული იქნება სათამაშო მოედნების მოვლასა და შენარჩუნებასთან. ქვე-პროექტი განხორციელების ადგილის გარემო არის მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული. შესაბამისად, ზეგავლენა არის გარდამავალი და უმნიშვნელო (ხმაური, ემისიები, სამშენებლო ნარჩენები, მოძრაობის დროებითი შეფერხება). ოპერირების ფაზაში წარმოქმნილი მყარი ნარჩენების მართვა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რათა შემცირდეს ზეგავლენა გარემოზე.
შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედებას ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	გრძელვადიან პერსპექტივაში ქვე-პროექტის სოციალური ზემოქმედება იქნება დადებითი, ვინაიდან ადგილობრივ მოსახლეობისათვის იქნება განახლებული სათამაშო მოედნები ხელმისაწვდომი, მოხდება მათი ჩართულობა სპორტულ აქტივობებში და ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების სტილის დამკვიდრებას. ამასთან, პროექტი იძლევა ადგილობრივების დასაქმების შესაძლებლობას მშენებლობის ეტაპზე, რაც წვლილს შეიტანს ადგილობრივი ეკონომიკური წინსვლის საკითხში. სათამაშო მოედნების მშენებლობა მოიტანს მყისიერ სარგებელს ბენეფიციარებისათვის განახლებული ინფრასტრუქტურის სახით. გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება იქნება ასევე სასარგებლო, რამდენადაც ადგილობრივი მოსახლეობა

	იქნებიან უკეთეს პირობებში. გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლები გაიზრდება მშენებლობის ეტაპზე მათი დასაქმების უზრუნველყოფის გზით. ლიმიტირებული და დროებითი დადებითი ზეგავლენა დაკავშირებულია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობებთან სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებში. უარყოფითი ზეგავლენა არის მოკლევადიანი და შეზღუდული მხოლოდ სამუშაოების განხორციელების ადგილით. უარყოფითი ზეგავლენა დაკავშირებულია ზემოთ აღწერილ ფაქტორებთან. გორის სათამაშო მოედნები არის გორის მუნიციპალიტეტის საკუთრება. მიწის ნაკვეთები რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება. (იხ. დანართი 1) არ იკვეთება ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეპროექტი არ ხასიათდება არანაირი უარყოფითი სოციალური გავლენით.
--	---

(B) ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

განხილული იქნა თუ არა ქვე-პროექტის მოცემული დიზაინის ალტერნატიული ვარიანტები?	მნიშვნელოვანი ალტერნატიული ვარიანტები არ იქნა განხილული, ვინაიდან ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული სათამაშო მოედნებისა და რიგ შემთხვევაში ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაციას.
ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?	მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებების შემცირება ადვილად შესაძლებელია. კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება, რომ ნარჩენები განათავსოს შეთანხმებულ ადგილას, გამოიყენოს მხოლოდ ლიცენზირებული კარიერებიდან მოპოვებული ინერტული მასალა, თავიდან აიცილოს წყლისა და ნიადაგის დაბინძურება (საწვავის/ზეთების დაღვრა სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების გაუმართაობის გამო, ასფალტისა და ბეტონის ნარჩენებით დაბინძურება), მოსახლეობის შეწუხება (ხმაურით, მტვერით და ემისიებით) შერბილდება მუშაობის/ მასალების მიწოდების განრიგის დაცვის გზით, მოძრაობის მართვით, სამშენებლო მექანიზმების შესაბამისი მოვლით და სხვა ღონისძიებებით.

წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	მუნიციპალური განვითარების ფონდს აქვს სხვადასხვა დონორის მიერ დაფინანსებული სათამაშო მოედნების, ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაციისა და მშენებლობის საშუალო და მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება. მსგავსი პროექტების განხორციელებისას მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვე-პროექტის დიზაინი მოიცავს არა მხოლოდ არსებული შენობების რეაბილიტაციას და რეკონსტრუქციას, არამედ სათამაშო მოედნის, ტუალეტების, საშხაპე ოთახების, განათების სისტემისა და საკანალიზაციო ხაზების რეაბილიტაციას.
ჩართული იყო თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ცოდნა?	ქვე-პროექტი მომზადებულია გორის მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოსთან კონსულტაციით და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე. ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ და მათი ინტერესები გათვალისწინებული იქნა ქვე-პროექტის მომზადებისას. მუნიციპალური განვითარების ფონდისა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ჩატარდება საკონსულტაციო შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან, სამუშაოების დაწყებამდე.

(C) რანჟირება

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების რეგულაციის OP/BP 4.01 შესაბამისად ქვე-პროექტი კლასიფიცირებული იქნა როგორც კატეგორია B და საჭიროებს გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ჩამონათვალის შევსებას მცირე მოცულობის სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტებისათვის

სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის განხორციელების ტერიტორიის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და ექვემდებარება თუ არა დადასტურებას? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	✓	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ეკონომიკურ რესურსებზე, როგორცაა მიწა, სამოვრები, წყალი, საერთო საზოგადოებრივი საჭიროების ობიექტები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		✓
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (საზოგადოებრივი ან კერძო, დროებით ან მუდმივად) ?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის (მარცვლეული, ხეხილი) ან საოჯახო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		✓
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			

სათამაშო მოედნების ტერიტორია რეგისტრირებულია როგორც მუნიციპალური საკუთრება. საკადასტრო ინფორმაცია თანდართულია.

გარემოს დაცვის მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი
ქვე-პროექტის დასახელება	გორის 10 სათამაშო მოედნის რეაბილიტაცია
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	ქვე-პროექტი მოიცავს სათამაშო მოედნების (ათი ერთეული) რეაბილიტაციას ქალაქ გორში, შიდა ქართლში. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ზღვის დონიდან 588 მეტრზე. პროექტის ადგილზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალიდან. მანძილი თბილისიდან არის 76 კმ. სარეაბილიტაციო სამუშაოების დეტალები მოცემულია ქვემოთ: 1. ელიოზიშვილის ქუჩაზე მდებარე სათამაშო მოედანი ქვე პროექტი მოიცავს სარეაბილიტაციო სამუშაოებს ელიოზიშვილის ქუჩაზე მდებარე სათამაშო მოედნისათვის, ისევე როგორც იქვე განთავსებული ადმინისტრაციული შენობისათვის. აღნიშნული სათამაშო მოედანი ამჟამად ფუნქციონირებს და მოიცავს ერთ სართულიან აგურის შენობას, ასევე - ფეხბურთის, კალათბურთისა ფრენბურთის მოედნებს, რომლებზეც განთავსებულია ასფალტის საფარი. სპორტული მოედანი შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. სპორტული მოედნის განათება დაერთებულია ქალაქის განათების ქსელზე. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 1) და ფართობი შეადგენს 3185 მ². ადმინისტრაციული შენობა წარმოდგენილია სამი ოთახის და ოთხი სველი წერტილისგან, რომელიც დაერთებულია ქალაქის ქსელზე. შენობა კონსტრუქციულად მდგრადია. სახურავი ნაწილობრივ დაზიანებულია, ოთახებში დაზიანებულია ნაღესი, მთლიანად ჩამოშლილია შეკიდული ჭერი და დათბუნება, დაზიანებულია იატაკი. სველ წერტილებში დამტვრეულია ხელსაბანის და უნიტაზის ნიჟარები, დამტვრეულია მეტლახი და კაფელი, დაზიანებულია კარ-ფანჯრები. გარდა ზემოხსენებულისა, დეფორმირებულია ასფალტო-ბეტონის საფარი, შეინიშნება ბზარები, დაზიანებულია ფეხბურთის კარები,

	ფრენბურთის ბადეები და კალათბურთის ფარები, აგრეთვე დაზიანებულია ელექტრო მომარაგება. ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას: - ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციას, მათ შორის: სახურავის ნაწილობრივ რეაბილიტაცია, შეკიდული ჭერის შეკეთება, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების დამონტაჟება; - აბაზანების და ტუალეტების მოწყობა; - შიდა განათების ქსელის მოწყობა; - არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება; - ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნების საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე; - კალათბურთის მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტ-ბეტონის ცხელი ნარევით; - გარე განათების მოწყობა; - არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი; - სათამაშო მოედნების შემოღობვა; 2. გორკის ქუჩაზე მდებარე სათამაშო მოედანი გორკის ქუჩაზე მდებარე სათამაშო მოედანი ამჟამად ფუნქციონირებს და მოიცავს ერთ სართულიან აგურის შენობას, ასევე - ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნებს, რომლებზეც განთავსებულია ასფალტის საფარი. სპორტული მოედანი შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. სპორტული მოედნის განათება დაერთებულია ქალაქის განათების ქსელზე. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 2) და მისი ფართობი შეადგენს 1310 მ². ქვე-პროექტი ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელებას, როგორც ადმინისტრაციული შენობისათვის, ასევე - სათამაშო მოედნისათვის. ადმინისტრაციული შენობა წარმოდგენილია სამი ოთახის და ოთხი სველი წერტილისგან, რომელიც დაერთებულია მუნიციპალურ ქსელზე. მიუხედავად იმისა, რომ შენობა კონსტრუქციულად მდგრადია, სახურავი, რომელიც თუნუქის მასალისგან არის დამზადებული, ნაწილობრივ დაზიანებულია, ოთახებში დაზიანებულია ნაღესი, მთლიანად ჩამოშლილია შეკიდული ჭერი და დათბუნება, დაზიანებულია იატაკი და კარ-ფანჯრები.
--	--

	გარდა ზემოხსენებულისა, დეფორმირებულია ასფალტო-ბეტონის საფარი, შეინიშნება ბზარები, დაზიანებულია ფეხბურთის კარები და კალათბურთის ფარები, აგრეთვე დაზიანებულია ელექტრო მომარაგება და არ ფუნქციონირებს გარე განათება. ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას: - ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციას, მათ შორის: სახურავის ნაწილობრივ რეაბილიტაცია, შეკიდული ჭერის შეკეთება, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების დამონტაჟება; - აბაზანების და ტუალეტების მოწყობა; - შენობის შიგნით მდებარე საკანალიზაციო ხაზის შეცვლა შენობის ეზოში მდებარე ჭამდე მანძილზე (6 მეტრი); - შიდა განათების ქსელის მოწყობა; - არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება; - ფეხბურთის მოედნის საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე; - კალათბურთის მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევით; - გარე განათების მოწყობა; - არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი; - სათამაშო მოედნების შემოღობვა; 3. ყიფიანის 56-ში მდებარე სათამაშო მოედანი ქვე-პროექტი ითვალისწინებს ყიფიანის 56-ში მდებარე სათამაშო მოედნის რეაბილიტაციას, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს, თუმცა ასფალტის საფარი და კალათბურთის საფარი დაზიანებულია. სპორტული მოედანი შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. სათამაშო მოედანს არც ელექტრო მომარაგება აქვს და არც გარე განათება. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 1) და მისი ფართობი შეადგენს 465 მ². ქვე-პროექტი ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელებას, როგორც ადმინისტრაციული შენობისათვის, ასევე - სათამაშო მოედნისათვის. ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:
--	--

- არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება;
- კალათბურთის მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტ-ბეტონის ცხელი ნარევით;
- გარე განათების მოწყობა;
- არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი;
- სათამაშო მოედნების შემოღობვა.

4. ბესიკის ქუჩაზე მდებარე სათამაშო მოედანი

ბესიკის ქუჩაზე მდებარე სათამაშო მოედანი ამჟამად ფუნქციონირებს და აერთიანებს ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებს. აქედან პირველ ორს აქვს ასფალტის საფარი, ხოლო მესამეს, ფრენბურთის მოედანს - მხოლოდ გრუნტის საფარი. სპორტული მოედანი შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. სპორტული მოედნის განათება დაერთებულია მუნიციპალურ ქსელზე. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 2) და მისი ფართობი შეადგენს 2713 მ². ქვე-პროექტი ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელებას, როგორც ადმინისტრაციული შენობისათვის, ასევე - სათამაშო მოედნებისათვის.

დეფორმირებულია ასფალტ-ბეტონის საფარი, დაზიანებულია ფეხბურთის კარები, ფრენბურთის ბადეები და კალათბურთის ფარები, აგრეთვე დაზიანებულია ელექტრო მომარაგება და არ ფუნქციონირებს გარე განათება. ასევე დაზიანებულია სტადიონის ტრიბუნები.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება;
- ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნების საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე;
- კალათბურთის მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტ-ბეტონის ცხელი ნარევით;
- გარე განათების მოწყობა;
- არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი;
- სათამაშო მოედნების შემოღობვა.

5. სუბიშვილის ქუჩაზე მდებარე სათამაშო მოედანი (იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლება)

ქვე-პროექტი ითვალისწინებს სუბიშვილის ქუჩაზე მდებარე (იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლება) სათამაშო მოედნის რეაბილიტაციას, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს, თუმცა ასფალტის საფარი მნიშვნელოვნად დაზიანებულია, არ არის ფეხბურთის კარები, არ არის ტერიტორია შემოღობილი და ასევე არ არის გარე განათება. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 1) და მისი ფართობი შეადგენს 571 მ².

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- მოედნის საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე;
- გარე განათების მოწყობა;
- არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი;
- სათამაშო მოედნების შემოღობვა.

6. უფლისციხის 42-ში მდებარე სათამაშო მოედანი

ქვე-პროექტი ითვალისწინებს უფლისციხის 42-ის მიმდებარედ არსებული სათამაშო მოედნის რეაბილიტაციას. სტადიონი ამჟამად ფუნქციონირებს, თუმცა ასფალტის საფარი და კალათბურთის ფარები მნიშვნელოვნად დაზიანებულია. სპორტული მოედანი შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. სპორტული მოედნის განათება დაერთებულია მუნიციპალურ ქსელზე. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 1) და მისი ფართობი შეადგენს 836 მ².

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება;
- არსებული ხელოვნური ბალახის საფარის მოხსნა ფეხბურთის მოედნიდან და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება;
- კალათბურთის მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტო-

	ბეტონის ცხელი ნარევით; - ფეხბურთის მოედნის საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე; - გარე განათების მოწყობა; - არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი; - სათამაშო მოედნების შემოღობვა.
	7. შინდისის გზატკეცილის 3-ში მიმდებარე სათამაშო მოედანი ქვე-პროექტი ითვალისწინებს შინდისის გზატკეცილის N3-ის მიმდებარედ არსებული სათამაშო მოედნის რეაბილიტაციას. სტადიონი ამჟამად ფუნქციონირებს, თუმცა ასფალტის საფარი და ფეხბურთის კარები დაზიანებულია. ტერიტორია შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. სპორტული მოედნის განათება დაერთებულია მუნიციპალურ ქსელზე. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 1) და მისი ფართობი შეადგენს 1218 მ². ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას: - არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება; - მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევით; - ფეხბურთის მოედნის საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე; - გარე განათების მოწყობა და არსებული ელ. მომარაგების ბოძთან დაერთება (სიგრძე - 8 მ.); - არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი; - სათამაშო მოედნების შემოღობვა. 8. სუხიშვილის 57-ის მიმდებარედ არსებული სათამაშო მოედანი ქვე-პროექტი ითვალისწინებს სუხიშვილის 57-ის მიმდებარედ არსებული სათამაშო მოედნის რეაბილიტაციას. სტადიონი ამჟამად ფუნქციონირებს, თუმცა ასფალტის საფარი და ფეხბურთის კარები დაზიანებულია. ტერიტორია შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 1) და მისი ფართობი შეადგენს 767 მ². ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების

	განხორციელებას: - არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება; - მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევით; - ფეხბურთის მოედნის საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე; - გარე განათების მოწყობა; - არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი; - სათამაშო მოედნების შემოღობვა. 9. სუბიშვილის N9-ის მიმდებარედ არსებული სათამაშო მოედანი ქვე პროექტი მოიცავს სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას სუბიშვილის N9-ის მიმდებარედ არსებული სათამაშო მოედანზე. აღნიშნული სათამაშო მოედანი ამჟამად ფუნქციონირებს და მოიცავს ერთ სართულიან აგურის ადმინისტრაციულ შენობას, ასევე - ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნებს, რომლებზეც განთავსებულია ასფალტის საფარი. სპორტული მოედანი შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. სპორტული მოედნის განათება დაერთებულია მუნიციპალური განათების ქსელზე. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 1) და ფართობი შეადგენს 1966 მ². ადმინისტრაციული შენობა წარმოდგენილია სამი ოთახის და ოთხი სველი წერტილისგან, რომელიც დაერთებულია ქალაქის ქსელზე. შენობა კონსტრუქციულად მდგრადია, თუმცა მისი თუნუქის სახურავი მთლიანად დაზიანებულია. გარდა ამისა, ოთახებში დაზიანებულია ნაღესი, მთლიანად ჩამოშლილია შეკიდული ჭერი და დათბუნება, დაზიანებულია იატაკი და კარ-ფანჯრები. გარდა ზემოხსენებულისა, დეფორმირებულია სათამაშო მოედნების ასფალტო-ბეტონის საფარი, შეინიშნება ბზარები, არ არის ფეხბურთის კარები, ფრენბურთის ბადეები და კალათბურთის ფარები, აგრეთვე დაზიანებულია ელექტრო მომარაგება და არ ფუნქციონირებს გარე განათება. ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:
--	---

- ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციას, მათ შორის: სახურავის ნაწილობრივ რეაბილიტაცია, შეკიდული ჭერის შეკეთება, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების დამონტაჟება;
- აბაზანების და ტუალეტების მოწყობა;
- შენობის შიგნით მდებარე საკანალიზაციო ხაზის შეცვლა შენობის ეზოში მდებარე ჭამდე მანძილზე (6 მეტრი);
- შიდა განათების ქსელის მოწყობა;
- არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება;
- ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნების საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე;
- კალათბურთის მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევით;
- გარე განათების მოწყობა;
- არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი;
- სათამაშო მოედნების შემოღობვა;

10. შინდისის გზატკეცილის N32-ის მიმდებარედ არსებული სათამაშო მოედანი

ქვე პროექტი მოიცავს სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას შინდისის გზატკეცილის N32-ის მიმდებარედ არსებულ სათამაშო მოედანზე. სტადიონი ამჟამად ფუნქციონირებს, თუმცა ასფალტის საფარი და ფეხბურთის კარები დაზიანებულია. ტერიტორია შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადით. სათამაშო მოედანს არც ელექტრო მომარაგება აქვს და არც გარე განათება. ტერიტორია რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება (იხ. დანართი 1) და მისი ფართობი შეადგენს 1041 მ².

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და ადგილობრივ ნაგავსაყრელზე განთავსება;
- მოედნის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტო-ბეტონის ცხელი ნარევით;
- ფეხბურთის მოედნის საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე;
- გარე განათების მოწყობა;
- არსებული მეტალის ბოძების და მავთულ-ბადის დემონტაჟი;

	- სათამაშო მოედნების შემოღობვა.		
ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	ჯგუფის ხელმძღვანელი: აჰმედ იაივეიდა, ჯგუფის ხელმძღვანელის მოდაგილე: ქსიაოლან ვანგი	უსაფრთხოების სპეციალისტები: დარეჯან კაპანაძე, გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი, სოფია გეორგიევა სოციალური უსაფრთხოების სპეციალისტი	
განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი ერთეული: მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოთა ზედამხედველი: საკონსულტაციო კომპანია ეპტისა	სამუშაოთა კონტრაქტორი: (განსასაზღვრავია)
ადგილმდებარეობის აღწერა			
ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	გორის მუნიციპალიტეტი		
ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	სტალინის ქუჩა N16, 1400 გორი, საქართველო ტელ: +(995 370) 27 73 88 ელ. ფოსტა: info@gori.gov.ge ვებ-გვერდი: www.gori.gov.ge		
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	გორის სათამაშო მოედნები არის გორის მუნიციპალიტეტის საკუთრება. მიწის ნაკვეთები რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება.		
ფიზიკური და ბუნებრივი გარემო	გორი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში და წარმოადგენს შიდა ქართლის ცენტრალურ ქალაქს. ქალაქი მდებარეობს მტკვრისა და დიდი ლიახვის შესართავთან, ზღვის დონიდან 588 მ სიმაღლეზე, თბილისიდან 76 კმ (რკინიგზით). გორი მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძია, აქედან სარკინიგზო განშტოება მიემართება ქალაქ ცხინვალისკენ. გორში ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ჰავაა, იცის ცხელი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა 10,6 °C, იანვარი -1 °C, აგვისტო 21,4 °C. ნალექები		

	600 მმ წელიწადში; მაქსიმალური მოდის მაისში (76 მმ), მინიმალური — თეფერვალში (34 მმ). ქვე-პროექტით გათვალისწინებული სათამაშო მოედნები მდებარეობს ქალაქის სხვადასხვა უბანში და გარშემორტყმულია კერძო საკუთრებაში არსებული სახლებით, საცხოვრებელი კორპუსებით, მუნიციპალური ქუჩებით და ადმინისტრაციული შენობებით. ერთ-ერთი სათამაშო მოედანი მდებარეობს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში. ქვე-პროექტით გათვალისწინებული ყველა სტადიონი ამჟამად ფუნქციონირებს, თუმცა დაზიანებულია ასფალტის საფარი, ტრიბუნები, ღობეები, ელექტრო მომარაგება.
მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან	წყლის მიწოდება მოხდება მუნიციპალური წყალსადენიდან. ქვიშა-ხრემის უახლოესი კარიერი მდებარეობს 7-8 კმ-ში. უახლოესი ნაგავსაყრელი, რომელიც იმართება შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიის მიერ“, მდებარეობს ქალაქ გორში.
კანონმდებლობა	
ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები	მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც B კატეგორიის პროექტი. ქვე-პროექტი მგფ-სათვის ოფიციალურად წარმოდგენილი იქნა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ და წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის საჭიროებას და პრიორიტეტს. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად: i. სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; ii. კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა); iii. კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს, ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისათვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების

	დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა); iv. კონტრაქტორს უნდა ჰქონდეს ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების მართვის ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად, ნაცვლად შეძენისა; v. მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ზედმეტი გრუნტის განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან; vi. იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად, წლის განმავლობაში წარმოიქმნება 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან 120 კგ-ზე სახიფათო ნარჩენი, კომპანია „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად ვალდებულია: დანიშნოს გარემოსდაცვითი მმართველი და მის შესახებ წარუდგინოს ინფორმაცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს; მოამზადოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარუდგინოს ნარჩენების ინვენტარიზაციის ანგარიში; მოამზადოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის (არსებობის შემთხვევაში), ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ბეტონის კვანძის ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმების ასლები თანდართული იქნება გარემოს დაცვის მართვის გეგმაზე, კონტრაქტორის შერჩევის შემდეგ. დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.
საჯარო კონსულტაცია	
სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?	გარემოს დაცვის მართვის გეგმა განიხილება ბენეფიციარ თემში სამუშაოების განხორციელებამდე.
დანართები	
დანართი 1: ქვე-პროექტის განხორციელების ადგილი, საკადასტრო ინფორმაცია, სკეტჩი და ფოტომასალა; დანართი 2: საჯარო კონსულტაციის ოქმი	

დანართი 3: ხელშეკრულება და წერილობითი შეთანხმება სამშენებლო ნარჩენების განთავსებაზე
(წარმოდგენილი იქნება)

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი ღონისძიებები
	A. შენობის რეაბილიტაცია	☒ დიახ ☐ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	B. ახალი მშენებლობა	☐ დიახ ☒ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	☐ დიახ ☒ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი B
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	☐ დიახ ☒ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი C
	E. მიწის შეძენა ¹	☐ დიახ ☒ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი D
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები ²	☐ დიახ ☒ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი E
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	☐ დიახ ☒ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი F
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	☐ დიახ ☒ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი G
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	☒ დიახ ☐ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი H

¹ მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შეძენილ მიწაზე.

² ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

ACTIVITY	PARAMETER	MITIGATION MEASURES CHECKLIST
0. ზოგადი პირობები	ინფორმირება და უსაფრთხოება	(a) ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მიწოდებულია ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის; (b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით; (c) გაცემულია მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა; (d) კონტრაქტორი აცხადებს ოფიციალურ თანხმობას, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით; (e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთოთ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები); (f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მაჩვენებლებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე.
A. ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები	ჰაერის ხარისხი	(a) ნგრევის შედეგად მიღებული ნამსხვრევების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ადგილზე და დაინამოს წყლით მტვრის შესამცირებლად; (b) პნევმატური ბურღით ნგრევის პროცესში მტვრის წარმოქმნა და გავრცელება შეზღუდული უნდა იქნეს წყლით დანამვით და/ან მტვრის საწინააღმდეგო ეკრანების გამოყენებით; (c) ნანგრევების დაყრა არ უნდა მოხდეს მიმდებარე ტერიტორიებზე; (d) არ უნდა მოხდეს სამშენებლო ნარჩენების დაწვა; (e) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; (f) სამშენებლო მასალები/ნარჩენები ტრანსპორტირების დროს უნდა იქნეს დაფარული/დატენიანებული მტვრის წარმოქმნის შემცირების მიზნით.
